ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32

2015 წლის 5 ივნისი

ქ. ზუგდიდი

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვარის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვარის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.170.016088) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის დებულება (დანართი №1).“.

2. დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილების დანართი №2 და დანართი №3 ამოღებულ იქნეს.

4. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1, 2^2, 2^3 და 2^4 მუხლები:

,,მუხლი 2^1. დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის საპროექტო წინადადება (დანართი №2).

მუხლი 2^2. დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის პროექტის თანადაფინანსებაზე თანხმობის წერილის გაცემის წესი (დანართი №3).

მუხლი 2^3. დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა (დანართი №4).

მუხლი 2^4. დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის ფინანსური ანგარიშის ფორმა (დანართი №5).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

მერაბ ქვარაია

დანართი №1

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კომისიის ცნება
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისია ახორციელებს წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მიღებას, განხილვას და მათზე გადაწყვეტილებების მიღებას.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის საფუძველი და ძირითადი პრინციპები
1. კომისიის საქმიანობის საფუძველია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ეს დებულება.
2. კომისიის წევრები მოქმედებენ კანონიერების, გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

3. კომისია უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობით და წევრთა როტაციის წესით.

მუხლი 3. ადმინისტრაციული წარმოების ენა
კომისიაში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 4. კომისიის ადგილსამყოფელი
კომისიის ადგილსამყოფელია ქალაქი ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №45.

თავი II
კომისია და მისი უფლებამოსილებები

მუხლი 5. კომისიის მიზანი
1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე მოსახლეობის ინტერესების დაცვა.
2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

3. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფლებების დაცვაზე მომართვიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

მუხლი 6. კომისიის შემადგენლობა
1. კომისიის წევრები:
ა) კომისია შედგება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან;

ბ) სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ პირებს ირჩევენ ადგილობრივი არასამთავრობო, მედია და საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დასამტკიცებლად წარუდგენენ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარეს.

2. კომისიის ხელმძღვანელი პირები:

ა) კომისიის თავმჯდომარე;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით.

4. კომისიის შემადგენლობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ამტკიცებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

5. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 7-9 წევრის ოდენობით.

მუხლი 7. კომისიის ფუნქციონირების წესი
1. კომისიის სხდომებს იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 3/4.

3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ პროექტს მხარს დაუჭერს კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3.

4. კომისიის სხდომაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში.

5. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი ან/და შენიშვნა დაერთვება ოქმს.

6. კომისიის გამართულად ფუნქციონირების ადმინისტრირებას (ფართი, პროექტების გამრავლება, მიღებული გადაწყვეტილებების გასაჯაროება) უზრუნველყოფს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 8. კომისიის წევრის უფლება/ მოვალეობა
1. კომისიის წევრი უფლებამოსილია:
ა) მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში;

ბ) შემოვიდეს ინიციატივით და დააყენოს საკითხები განსახილველად;

გ) ზეპირად ან წერილობით გამოხატოს საკუთარი მოსაზრება;

დ) ხმის უფლებით მონაწილეობდეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ე) დაუბრკოლებლივ მიიღოს ინფორმაცია კომისიის საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

2. კომისიის წევრის ვალდებულებაა

ა) დაიცვას წინამდებარე დებულება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს კომისიის ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას;

გ) არ გაახმაუროს კომისიის წევრობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;

დ) რეგულარულად დაესწროს კომისიის სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში.

მუხლი 9. კომისიის თავმჯდომარე
1. ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომებს.
2. კოორდინაციას უწევს კომისიის საქმიანობას.

3. უნაწილებს ფუნქციებს, აძლევს დავალებებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

4. შემოდის ინიციატივით შესწორებები შეიტანოს პროექტების მიღების, განხილვის პროცედურებში და პროექტების შეფასების კრიტერიუმებში.

5. კომისიის სახელით ხელს აწერს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და რეკომენდაციებს.

6. საკრებულოს ერთ წელიწადში თვეში ერთხელ მაინც, რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს.

7. უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

8. წარმოადგენს კომისიას და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას.

მუხლი 10. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობებს მისი არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას და/ან გადაყენებისას.

მუხლი 11. კომისიის მუშაობა
1. კომისიის წევრები ვალდებული არიან:
ა) შეისწავლონ საპროექტო წინადადებები;

ბ) საჭიროებისამებრ მოითხოვონ განმცხადებლისგან პროექტის გასამყარებლად დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის ფინანსური;

გ) შეისწავლოს საპროექტო წინადადებაში აღწერილი შემდეგი ინფორმაცია:

გ.ა) ბენეფიციართა შესახებ მონაცემები;

გ.ბ) ფინანსური და სტატისტიკური მონაცემები;

გ.გ) განმცხადებლის მიერ პროექტის განხორციელების რეალური შესაძლებლობა;

გ.დ) პროექტის რეალური საჭიროებები.

დ) პროექტის მიმდინარეობისას წინასწარი დაუწყების გარეშე განახორციელოს პროექტის მონიტორინგი და მოამზადოს შესაბამისი დასკვნები;

ე) შეაფასოს პროექტის შედეგები ადგილზე, დანართი №5-ის და №6-ის შესაბამისად და მომამზადოს ანგარიშები და დასკვნები;

ვ) გაწეული სამუშაოს შესახებ მოამზადოს ანგარიშები;

ზ) ანგარიშვალდებულია კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 12. კომისიის ანგარიშვალდებულება
კომისია ანგარიშვალდებულია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

მუხლი 13. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა
1. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებისას;

გ) გარდაცვალებისას;

დ) გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებისას;

ე) როტაციის წესით ცვლილებისას. კომისიის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირ წევრს უფლებამოსილება უწყდება ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.

თავი III
საპროექტო წინადადებების სფერო, მიღების წესი, შერჩევის პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები

მუხლი 14. საპროექტო წინადადებები
1. საპროექტო წინადადებები უნდა შემოიფარგლოს შემდეგი საკითხებით:
ა) თავშესაფრის არმქონე ბენეფიციარებისათვის სოციალური საცხოვრისის დაპროექტება, მშენებლობა ან/და არსებულის განვითარება;

ბ) სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობა;

გ) შშმ პირების „ცენტრ(ებ)ი"-ს ჩამოყალიბება/განვითარებაში ხელშეწყობა და შშმ პირთა რეაბილიტაცია რესოციალიზაციის ხელშეწყობა;

დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და განათლების ხელშეწყობის პროგრამების შექმნა/დანერგვა.

2. საპროექტო წინადადებები, რომლებიც არ იქნება მხარდაჭერილი კომისიის მიერ:

ა) მსგავსი პროგრამა, პროექტი მხარდაჭერილია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა მუხლით;

ბ) შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს;

გ) გულისხმობს პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ან სამხედრო ჯგუფების მხარდაჭერას;

დ) პროექტის შესრულებით შეუძლებელია მიღებული შედეგების შეფასება.

3. კომისიის მხარდაჭერით შეუძლებელია:

ა) შეძენილ იქნეს უძრავი ქონება პირადი ინტერესებისათვის;

ბ) ინდივიდუალური ან ჯგუფური გრძელვადიანი ღონისძიებები, რომელთა მონიტორინგი და შეფასება შეუძლებელია კომისიის კომპეტენციით და ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 15. საპროექტო წინადადებების მიღების წესი
1. პროექტების მიღება ხორციელდება ღია კარის პრინციპით მთელი წლის განმავლობაში.
2. საპროექტო წინადადება შევსებული და წარდგენილი უნდა იქნეს დანართი №2-ის შესაბამისად.

3. საპროექტო წინადადება განცხადებასთან ერთად უნდა დარეგისტრირდეს საკრებულოს საქმისწარმოებისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილებაში.

4. საპროექტო წინადადების ინიციირების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა), ასევე საინიციატივო ჯგუფს, რომელიც პროექტს განახორციელებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის.

5. საპროექტო წინადადების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსების შემთხვევაში მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღმატებოდეს წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნების არაუმეტეს 20%-ისა.

6. კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს დასაფინანსებელი პროექტის ბიუჯეტის თანხა.

7. არასრულად წარმოდგენილი საპროექტო წინადადება არ განიხილება.

მუხლი 16. საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურები
1. საპროექტო წინადადება შემოსვლიდან 3 დღის ვადაში გადაეცემა კომისიის წევრებს.
2. საპროექტი წინადადებას კომისიის წევრები შეისწავლიან და სათანადო დასკვნას ამზადებენ არაუმეტეს 1 თვის ვადაში.

3. საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

4. არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ადგილზე შეისწავლოს წინა საპროექტო მდგომარეობა.

5. კომისია საპროექტო წინადადებაზე დადებით დასკვნას წარუდგენს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, პროგრამით გათვალისწინებული თანხიდან შესაბამისი პროექტის დასაფინანსებლად.

მუხლი 17. საპროექტო წინადადების თანადაფინანსებაზე თანხმობის გაცემის წესი
1. საპროექტი წინადადების თანადაფინანსებაზე თანხმობის წერილის გაცემის წესი განსაზღვრულია დებულების დანართ №3-ში.
2. პროექტის თანადაფინანსებაზე დონორის უარის შემთხვევაში კომისიის მიერ თანხა არ გაიცემა.

მუხლი 18. პროექტის განხორციელების და ანგარიშგების წესი

1. კომისიის მიერ მხარდაჭერილი პროექტები უნდა ხორციელდებოდეს დანართ №2-ში დადგენილი ცხრილი №1 (დროის გრაფიკი) და ცხრილი №2 (ბიუჯეტი) შესაბამისად.
2. პროექტის განხორციელების ფარგლებში კომისიას 2-ჯერ უნდა წარედგინოს ანგარიში დანართი №4-ს და დანართი №5-ის შესაბამისად.

3. ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს პროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან 2 კვირის ვადაში.

თავი IV
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 19. კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა
1. კომისიის დებულებას ამტკიცებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №2

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის

საპროექტო წინადადება

განმცხადებლის დასახელება ----------

განმცხადებლის სტატუსი: ა (ა) ი პ, საინიციატივო ჯგუფი, ფიზიკური პირი, სხვა.

საკონტაქტო პირი ----------

მისამართი ----------

ტელეფონი ----------

ელფოსტა ----------

პროექტის დასახელება ----------

პროექტის განხორციელების არეალი ----------

ბენეფიციარების რაოდენობა ----------

პროექტის ღირებულება ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მოთხოვნილი თანხა ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

საკუთარი წილი (არსებობის შემთხვევაში) ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

პროექტის განხორციელების ვადები ----------დან ----------მდე

მე, ზემოხსენებული პროექტის ხელმძღვანელი ---------- ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ მიღებულ ყოველგვარ ფინანსურ ან მატერიალურ დახმარებას გამოვიყენებ ისე, როგორც გათვალისწინებულია პროექტით.

მე თანახმა ვარ დავიცვა დადგენილი ანგარიშგების წესები.

პროექტის განხორციელებაში დაშვებული დარღვევების შემთხვევაში, თანახმა ვარ მიღებული თანხა და ამ თანხით შეძენილი ქონება დავაბრუნო, დამფინანსებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

---------- ----------

ხელს აწერს პროექტის ხელმძღვანელი თარიღი

---------- ----------

ხელსაწერს საკრებულოს უფლებამოსილი პირი თარიღი

არსებული მდგომარეობის ანალიზი

გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი. აღწერეთ ის პრობლემა, რომლის მოგვარებასაც აპირებთ.

პროექტის მიზანი

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც მიმართული იქნება ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

პროექტის ამოცანები

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროექტის განხორციელების გზები

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც პასუხობს შემდეგ კითხვებს:

1) “როგორ?” - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) “ვინ” - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

ცხრილი №1, დროის გრაფიკი

	საქმიანობა	**თვეები**					
		I	**II**	**III**	**IV**	**V**	**VI**
	მაგ.: მოსამზადებელი სამუშაო						
	ინვენტარი შეძენა						
	ღონისძიება და ა.შ.						
	შუალედური ანგარიში						
	საბოლოო ანგარიში						

თვეები					
VII	**VIII**	**IX**	**X**	**XI**	**XII**

დროის ტაბულა ძალზე მოხერხებულია ვადების საჩვენებლად. მაშინ როდესაც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა რამ არის დაგეგმილი, მასზე ეს შეიძლება თვალსაჩინოდ და გასაგებად გამოისახოს. ტაბულა იმითაცაა ხელსაყრელი, რომ მოვლენათა თანმიმდევრობას ასახავს იმ შემთხვევებისათვისაც, თუ დაფინანსებას იმაზე გვიან მიიღებთ, ვიდრე ვარაუდობდით.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას. სასურველია შედეგები დაყოთ:

ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით;

ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით.

სასურველია მიუთითოთ აგრეთვე, რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენ მიერ განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე, საზოგადოებაზე და ა.შ.

მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

ცხრილი №2, ბიუჯეტი

	სამუშაოს/ მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	კომისიიდან მოთხოვნილი თანხა	სხვა წყარო	სულ
1	ხელფასები/ჰონორარები					

1.1						
1.2						
1.3						
	სულ					
2	აღჭურვილობა/ინვენტარი					
2.1						
2.2						
2.3						
	სულ					
3	მომსახურება					
3.1						
3.2						
3.3						
	სულ					
4	საოპერაციო ხარჯები					
4.1						
4.2						
4.3						
	სულ					
5	საბანკო მომსახურება					
5.1						
	პროექტის ღირებულება					
	სხვა წყაროდან სულ					
	მოთხოვნილი თანხა სულ					

ბიუჯეტის პუნქტების განმარტებები:

ხელფასები/ჰონორარები - პროექტის მიმდინარეობისას სრული დატვირთვით მომუშავე თანამშრომლ(ებ)ის ხელფას(ებ)ი, კონკრეტული საჭიროებისათვის დაქირავებულ(ებ)ის ჰონორარ(ებ)ი

აღჭურვილობა/ინვენტარი - ტექნიკა და ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები

მომსახურება - ტრენინგი, მასალის დაბეჭდვა,ტრანსპორტირება

საორგანიზაციო ხარჯები - კომუნალური, საკომუნიკაციო, საკანცელარიო ხარჯები

საბანკო მომსახურება - არაუმეტეს 1%-ისა პროექტის საერთო ღირებულებიდან

დანართი №3

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის

პროექტის თანადაფინანსებაზე თანხმობის წერილის გაცემის წესი

- რეკომენდაციის მოთხოვნისას განმცხადებელს ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს კანცელარიაში კომისიის სახელზე შემოაქვს განცხადება;
- რეკომენდაციის მოთხოვნისას განმცხადებელმა სრულად უნდა დაიცვას საპროექტო წინადადების შემოტანის წესი დანართი №2-ის ან დონორი ორგანიზაციის სააპლიკაციო ფორმის მიხედვით (უნდა შემოიტანოს პროექტი);

- განცხადებას და საპროექტო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, რათა თავიდანვე იქნეს არიდებული პასუხის გაცემის ვადაში გაწელვა

- რეკომენდაციაზე პასუხი გაიცამა არაუმეტეს 1 თვის ვადაში;

- თითოეული სარეკომენდაციო წერილი უნიკალურია;

- რეკომენდაციის მოქმედების ვადა შეზღუდულია;

- რეკომენდაცია არ გრძელდება ავტომატურად;

- კომისიის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია შესაძლებელია გაუქმდეს ცალმხრივად კომისიის მიერ, თუმცა ეს არ ათავისუფლებს რეკომენდაციის მიმღებს აღებული ვალდებულებებისგან;

- რეკომენდაცია არ ავალდებულებს კომისიას დამატებით ღონისძიებების შესრულებაში.

შევსების თარიღი _____

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა _____

დანართი №4

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის

შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება და წარდგენა სავალდებულოა. ფორმა წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან 2 კვირის ვადაში)

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების განმახორციელებლის სტატუსი

_____

_____

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების სათაური

_____

_____

პროექტი

პროექტის დაწყების თარიღი ----------

პროექტის დასრულების თარიღი ----------

საპროექტო წინადადების ბიუჯეტი ----------

პროექტით მოთხოვნილი თანხის ოდენობა ----------

პროექტით მიღებული დაფინანსების ოდენობა ----------

ანგარიშის წარმომდგენი

პოზიცია ----------

სახელი, გვარი ----------

მისამართი ----------

ტელეფონი/ელ. ფოსტა ----------

- პროექტის პირველ ეტაპზე მოთხოვნილი თანხის ოდენობა?

_____

- პროექტის პირველი ეტაპის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?

_____

- პროექტის მეორე ეტაპზე მოთხოვნილი თანხის ოდენობა?

_____

- პროექტის მეორე ეტაპის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?

_____

- თქვენ მიერ გადარიცხული თანხების და მომსახურების სახეების ჩამონათვალი, ტრანშების რაოდენობა:

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი?

_____

_____

_____

- რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?

_____

_____

_____

- დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს? (პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

_____

_____

_____

- 10-ბალიანი სისტემის გამოყენებით რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი პროექტის ბიუჯეტს?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

შევსების თარიღი ----------

ანგარიშის წარმომდგენის ხელმოწერა ----------

დანართი №5

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კომისიის

ფინანსური ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება და წარდგენა სავალდებულოა. ფორმა წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან 2 კვირის ვადაში)

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების განმახორციელებლის სტატუსი

_____

_____

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების სათაური

_____

_____

პროექტი

პროექტის დაწყების თარიღი ----------

პროექტის დასრულების თარიღი ----------

საპროექტო წინადადების ბიუჯეტი ----------

პროექტით მოთხოვნილი თანხის ოდენობა ----------

პროექტით მიღებული დაფინანსების ოდენობა ----------

ანგარიშის წარმომდგენი

პოზიცია ----------

სახელი, გვარი ----------

მისამართი ----------

ტელეფონი/ელ. ფოსტა ----------

- პროექტის პირველ ეტაპზე მოთხოვნილი თანხის ოდენობა?

_____

- პროექტის პირველი ეტაპის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?

_____

- პროექტის მეორე ეტაპზე მოთხოვნილი თანხის ოდენობა?

_____

- პროექტის მეორე ეტაპის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?

_____

- თქვენ მიერ გადარიცხული თანხების და მომსახურების სახეების ჩამონათვალი, ტრანშების რაოდენობა:

  - _____
  - _____
  - _____
  - _____
  - _____
  - _____

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი?

_____

_____

_____

- რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?

_____

_____

_____

- დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს? (პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

_____

_____

_____

- 10-ბალიანი სისტემის გამოყენებით, რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი პროექტის ბიუჯეტს?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

შევსების თარიღი ----------

ანგარიშის წარმომდგენის ხელმოწერა ----------